ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2022 წლის 28 თებერვლის სხდომის

ოქმი # 3

სხდომა ჩატარდა „ZOOM“ პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 22.

დღის წესრიგი:

1. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შეფასების წესის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
2. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე
3. დოქტორანტ ტ. სიჭინავას სადისერტაციო თემის სათაურის დაზუსტება
   მომხს: თ. მატარაძე
4. დოქტორანტ ეკატერინე ქრისტესაშვილის მიერ, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ
   მომხს: თ. მატარაძე
5. დოქტორანტ ლ. ხუციშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ
   მომხს: თ. მატარაძე
6. აკადემური მოსწრების ანალიზის, შეფასებისა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კომპონენტის, სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შეფასების წესი, დასამტკიცებლად წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. მატარაძემ, ზ. დავითაშვილმა, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კომპონენტის, სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შეფასების წესი წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 2. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში დასამტკიცებლად წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, თ. მახარაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 3. დოქტორანტ ტ. სიჭინავას სადისერტაციო თემის სათაური დასაზუსტებლად წარმოადგინა დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. პავლიაშვილმა, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ტ. სიჭინავას (V სემესტრი) სადისერტაციო თემის დაზუსტებული ვარიანტი, ძველი სათაურის ნაცვლად - „შრომით მიგრანტთა სამოქალაქო ინტეგრაციის და განსახლების თავისებურებები საქართველოში“, სათაურით - „შრომით მიგრანტთა ინტეგრაციის და განსახლების თავისებურებები საქართველოში“. (სამეცნიერო ხელმძღვანელები: თამარ დოლბაია, გიორგი გოგსაძე)

მოისმინეს: 4. დოქტორანტ ეკატერინე ქრისტესაშვილის განცხადება, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ, დამსწრეთ გააცნო თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს დოქტორანტ ეკატერინე ქრისტესაშვილის თხოვნა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ და საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამიდან გადავიდეს სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე (მე-4 სემესტრი, ხელ-ლი: იაგო კაჭკაჭიშვილი)

მოისმინეს: 5. დოქტორანტ ლ. ხუციშვილის განცხადება, სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ დამსწრეთ გააცნო თ. მატარაძემ

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, მ. მაცაბერიძემ და სხვ.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის მე-7 სემესტრის დოქტორანტ ლევან ხუციშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელად დაემატოს ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა.

მოიმინეს: 6. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო დოკუმენტი, რომლის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებზე დაყრდნობით, უნდა წარიმართოს საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგულარულად უნდა მიმდინარეობდეს სასწავლო კურსების აკადემური მოსწრების ანალიზი, შეფასება და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა.

თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს წარუდგინა ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, ფაკულტეტის ყველა მიმართულებაზე განხორციელებული აკადემური მოსწრების ანალიზი და თქვა, რომ შედეგები პერსონალურად დაეგზავნება პროფესურას და შეფასება იქნება ყოველსემესტრული

აზრი გამოთქვეს: თ. მახარაძემ, მ. შამილიშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სასწავლო კურსების აკადემური მოსწრების ანალიზის, შეფასებისა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვის დოკუმენტი (ოქმს თან ერთვის).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ს. დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრები:

თამარ დოლბაია

რევაზ ჯორბენაძე

სალომე დუნდუა

თეონა მატარაძე

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

მალხაზ მაცაბერიძე

გოგი გოგსაძე

ნინო პავლიაშვილი

იაგო კაჭკაჭიშვილი

თამარ მახარაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

ზვიად აბაშიძე

ზურაბ აბაშიძე

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნინო ჭალაგანიძე

შოთა ქარქაშაძე

ამირან ბერძენიშვილი

ალექსანდრე კუხიანიძე

ნინი პაქსაშვილი

ცირა თოფურია

კახი კუჭუხიძე

დანართი#1

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შეფასების წესი

სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1, 2 და 3 განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დაცვის წინაპირობას.

დოქტორანტი სამეცნიერო პროექტს ირჩევს lms.tsu.ge-ზე, აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში. რეგისტრაციის ვადის დასრულებიდან ერთი თვეში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე შეადგენს სამეცნიერო პროექტების დაცვის საფაკულტეტო გრაფიკს (სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდში ერთი კვირის განმავლობაში), რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

დოქტორანტმა სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან 10 დღის ვადაში სამეცნიერო პროექტის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მითითებულ მისამართზე (https://tsu.ge/ge/faculties/social/study_proc/phd_soc/yylmh84v63gpyuzvd//?fbclid=IwAR2fx8g kcYik6_47eLubApqbKdcep38lk2ggVfj8iciikOQLHEBOCZVqomA), ხოლო ბეჭდური ვერსია სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციასთან ერთად უნდა წარადგინოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ნაშრომის ორიგინალობის შემოწმების შემდგომ უზრუნველყოფს სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ელექტრონული ვერსიის სამეცნიერო პროექტის შემფასებელი კომისიის წევრებთან გაგზავნას.

სამეცნიერო - კვლევით პროექტს აფასებს (ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა) სამეცნიერო პროექტის შემფასებელი კომისია. კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. დოქტორანტის ხელმძღვანელი არ მონაწილეობს მისი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების პროცესში. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემაფსებელ კომისიას ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

პირველ სამეცნიერო - კვლევით პროექტში დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადოქტორო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე, პრობლემის ფორმულირება, კვლევის მიზან(ებ)ი და ამოცანები, ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა, კვლევის მეთოდოლოგია/დიზაინი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა/დოკუმენტების ანალიზი (წყაროების მითითებისას გამოყენებულ უნდა იყოს APA სტილი)

მეორე სამეცნიერო - კვლევითი პროექტში დოქტორანტმა დეტალურად უნდა წარადგინოს კვლევის შედეგები და ძირითადი მიგნებები. ასევე უნდა წარმოადგინოს კვლევის მიზან(ებ)ი და ამოცანები, ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა და კვლევის დიზაინის მოკლე აღწერა. კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იყოს სისტემურად და ლოგიკურად.

დოქტორანტი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის პრეზენტაციით (20 წუთი) წარსდგება სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის წინაშე, რომელსაც დაცვისთვის აუცილებელ ყველა საბუთს გადასცემს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტი.

სამეცნიერო - კვლევითი 3-ის მიზანია - სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის გაცნობა და დოქტორანტისათვის რეკომენდაციების გაცემა. სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3-ის წარდგენისა და შემოწმების პროცედურა იხილეთ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მე - 10 მუხლში.

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაცვის პროცესი საჯაროა.

სამეცნიერო - კვლევითი ნაშრომი ფასდება პრინციპით – ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. ნაშრომი ჩათვლილად ითვლება, თუკი მას დადებით შეფასებას მისცემს კომისიის წევრთა ორ მესამედი (იხ. დანართი #1).

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შეფასება ფორმდება უწყისში (იხ. უწყისის დანართი #2). დოქტორანტის სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, ხელმძღვანელის რეკომენდაციები, შეფასების უწყისი, უნდა ინახებოდეს დოქტორანტის პირად საქმეში, ხოლო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაარქივდეს შესაბამისი წესით.

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის გაფორმება:

ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს pdf ფორმატში; დოკუმენტის

სახელწოდება უნდა იყოს PhD scientific project და ავტორის გვარი მიეთითოს მაგალითისამებრ (მაგ.: PhD scientific project.Abashidze);

- ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის რეკომენდებული სახე – Sylfaen, ინგლისურენოვანი ტექსტისთვის Times New Roman
- შრიფტის ზომა – 12
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი –2 სანტიმეტრი;

- სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1 და 2-ის მოცულობა – არანაკლებ 35 გვერდისა ბიბლიოგრაფიისა და დანართის გარეშე;
- ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს APA სტილში
- ნაშრომს უნდა ჰქონდეს სატიტულო გვერდი (სადოქტორო პროგრამის, დოქტორანტისა

  და მისი სამეცნიერო ხელმძღვნელის სახელის და გვარის, სამეცნიერო - კვლევითი პროექტის სახელწოდების მითითებით

სადოქტორო სამეცნიერო–კვლევითი პროექტის შეფასების უწყისი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

_____

— სასწავლო წელი და სემესტრი:

_____

დოქტორანტის გვარი, სახელი:

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და წელი: _____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის გვარი და სახელი:

_____

_____

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის სახელწოდება:

_____

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის დასკვნა:

1. სამეცნიერო - კვლევითი პროექტი ჩაეთვალა
2. სამეცნიერო - კვლევითი პროექტი არ ჩაეთვალა

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

_____

_____

კომისიის მდივნის ხელმოწერა:

კომისიის წევრთა ხელმოწერა:

შევსების თარიღი:

ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში

საბაკალავრო პროგრამები:

1. „პოლიტიკის მეცნიერება“

საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემის ცვლილება:

- საბაკალავრო ნაშრომის დაცვისას, სილაბუსით გათვალისწინებული შემდეგი ორი რეცენზენტის 30 – 30 ქულიანი და კომისიის 40 ქულიანი შეფასებები შეიცვალოს შემდეგნაირად: ერთი რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა, კომისიის შეფასება -60 ქულა.

წინაპირობის მოხსნა:

- საბაკალავრო საგანს **„კვლევის დიზაინს“**, მოეხსნას წინაპირობა **„პოლიტიკის კვლევის მეთოდები“.**

კრედიტების ცვლილება :

- სავალდებულო საგნები **„პოლიტიკური კომუნიკაცია“** და **„საბაკალავრო კვლევის დიზაინი“** ნაცვლად 4 კრედიტისა, გახდეს 5 კრედიტიანი; 6 კრედიტიანი საგნები **„პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია“** და **„პოლიტიკის კვლევის მეთოდები“**, გახდეს ასევე 5 კრედიტიანი.

„ჟურნალისტიკა“:

ლექტორების დამატება და ცვლილება:

- **„ქართული ჟურნალისტიკის ისტორია(მე-19 საუკუნე)“** - სავალდებულო, 5 კრედიტი, 30/15, თამაზ ჯოლოგუას ნაცვლად, კურს გაუძღვება ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი, სემინარულ მუშაობას წაიყვანს ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე.
- **„ანალიზისა და მოსაზრების წერა“** - სავალდებულო, 5 კრედიტი, 30/30, დაემატა ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე.
- **„ლოკალური მედია და ადგილობრივი ხელისუფლების მონიტორინგი“** - არჩევითი, 5 კრედიტი, 15/30. სემინარულ მუშაობას წაიყვანს ასოცირებული პროფესორი ნათია სვანიძე.

„ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (რუსულენოვანი კომპონენტებით)“:

საათობრივი ცვლილებები სილაბუსში:

- **„მემუარები, როგორც კულტურის ფენომენი“** - ლექტორი ჯილდა ასათიანი, არჩევითი, გახდა (30/15), ნაცვლად 30/30).
- **„ღია მონაცემები“** - ლექტორი მამუკა ანდღულაძე - არჩევითი, გახდა (30/15), ნაცვლად 30/30).

„სოციოლოგია“:

ლექტორის ერთჯერადად ცვლილება:

- **„მასკულინობის კვლევები“** - თამარ მელაშვილის ნაცვლად, ერთჯერადად გაზაფხულის სემესტრში წაიკითხავს გიგა კარაპეტიანი.

„საერთაშორისო ურთიერთობები“:

ლექტორის ერთჯერადად ცვლილება:

- **„საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური ეკომომიკა“** - გაზაფხულის სემესტრში, ერთჯერადად, ნინო გოგოლაძის ნაცვლად, წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ემილ ეთერია.

კრედიტების ცვლილება (ერთჯერადად):

- **„საბაკალავრო სემინარი“** - გაზაფხულის სემესტრში, ერთჯერადად გახდეს 5 კრედიტიანი, ნაცვლად 6 კრედიტისა.

სამაგისტრო პროგრამები:

„დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“

მისანიჭებელი კვალიფიკაციის დაზუსტება:

- პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია იქნება - **„ მეცნიერების მაგისტრი დემოგრაფიაში“**, ნაცვლად „სოციალური მეცნიერებების მაგისტრი დემოგრაფიაში“.

საფუძველი: ხარვეზის აღმოფხვრა და კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისობის დადგენა.

სემესტრის ერთჯერადი ცვლილება:

- **„პრაქტიკა“** - შემოდგომის სემესტრიდან, ერთჯერადად გადმოდის გაზაფხულის სემესტრში (მეორე კურსი).

„პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“

სემესტრის ერთჯერადი ცვლილება და ლექტორის დამატება:

- **“საქართველოს განვითარების ეკონომიკა“** - ერთჯერადად გადმოვიდეს მეორე სემესტრში მესამეს ნაცვლად და დაემატოს ლექტორი ია ერაძე - ხოლო, **“სახელმწიფო და ეკონომიკა: სოციოლოგიური პერსპექტივა“** - ლექტორი ანა დიაკონიძე, სავალდებულო, ერთჯერადად გადადის მესამე სემესტრში მეორე სემესტრის ნაცვლად.

„დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“:

სემესტრის და ლექტორის ცვლილება:

- **„ქართული დიპლომატიის ისტორია“** - ერთჯერადად გადმოდის გაზაფხულის სემესტრში, ლექტორი ფიქრია ასანიშვილი.

“ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“:

ლექტორის ერთჯერადი ცვლილება:

- **„კონსულტირება არაკომერციულ ორგანიზაციებში“** - ნოდარ სარჯველაძის ნაცვლად ერთჯერადად წაიკითხავს უჩა ვარამაშვილი

ლექტორის დამატება:

- **„ორგანიზაციის განვითარება 1“** - დაემატა ლექტორი იულია ანდრეში.

„სოციალური მუშაობა“:

რეაკრედიტაციისთვის მომზადებული ცვლილებები:

საბაკალავრო პროგრამა:

ლექტორის დამატება:

- **„სოციალური მუშაობის პრაქტიკა (პრაქტიკა 2, 3, 4, 5, 6)“** - სავალდებულო, დაემატა მოწვეული ლექტორები ირმა ბებერაშვილი და გურანდა თეთრაძე;

- **„სოციალური მუშაობის შესავალი“** - სავალდებულო, დაემატა ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარცხალაძე.
- **„სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: მუშაობა ჯგუფებთან“** - სავალდებულო, დაემატა ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარცხალაძე.
- **„სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში“** - არჩევითი, დაემატა ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარცხალაძე.
- **„სოციალური მუშაობა აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან“** - არჩევითი, დაემატა ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარცხალაძე.
- **„სოციალური მუშაობა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან“** - არჩევითი, დაემატა ასოცირებული პროფესორი ნათელა ფარცხალაძე.

არჩევითი კურსის გაუქმება:

- **„სოციალური მუშაობის პრაქტიკა ტრეფიკინგის მსხვერპლებთან“ –**

დოქტორანტურის პროგრამა:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ცვლილება:

ახალი ფორმულირება: „აპლიკანტი უნდა ფლობდეს: მაგისტრის ამ მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა „სოციალურ მუშაობაში“ ან ჯანდაცვასა და კეთილდღეობაში, ასევე სოციალურ მეცნიერებაში; ან არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში.“

ცვლილება სილაბუსში:
„კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები“ - საგანს სპეციალურად სოციალური მუშაობის დოქტორანტურისათვის დაემატა ოთხი საკითხი:

1. კვლევის ეთიკური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი
2. ქმედების კვლევა სოციალურ მეცნიერებაში
3. რას ნიშნავს პროგრამისა და პრაქტიკის შეფასება
4. კვლევის მიგნების გავრცელებისა და გავლენის მოხდენის სტრატეგიები, ნაცვლად გეო-ინფორმაციული სისტემების, დისკურსის ანალიზი და სემიოტიკური ანალიზი.

ახალი არჩევითი საგნის დამატება:

- „სოციალური მუშაობის თეორია და პრაქტიკა“. ლექტორები: მარკ დოელი, თამარ მახარაძე, სალომე ნამიჭეიშვილი, ნინი შენგელია, ნათელა ფარცხალაძე

დანართი # 3

აკადემიური მოსწრების ანალიზის, შეფასებისა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვის დოკუმენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 და N69/ნ ბრძანების, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მოქმედი სტანდარტების, თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებისა და თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებისა და შეფასების წესის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგულარულად უნდა მიმდინარეობდეს ცალკეულ სასწავლო კურსებზე ა**კადემიური მოსწრების ანალიზი, შეფასება და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა**. აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ევროპული გამოცდილების მიხედვით, ცალკეულ სემესტრში, ცალკეული სასწავლო კურსის აკადემიური შედეგები მაქსიმალურად უნდა ემთხვეოდეს ე.წ გაუდის მრუდს, რომლის მიხედვითაც:

- „A“ - ფრიადი შეფასება უნდა ჰქონდეს სასწავლო კურსის სტუდენტების 10%-ს;
- “B”- ძალიან კარგი შეფასება უნდა ჰქონდეს 25%-ს;
- „C” -კარგი შეფასება უნდა ჰქონდეს 30%-ს;
- “D” -დამაკმაყოფილებელი -25%-ს
- “E” - საკმარისი - 10%-ს.

იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული სასწავლო კურსის აკადემიური მოსწრების შედეგები **მნიშვნელოვნად განსხვავდება** მოცემული ნორმალური განაწილებისგან, ის მოითხოვს სწრაფ რეაგირებას.

მოცემულ დოკუმენტებსა და ევროპულ გამოცდილებაში არსებობს **რამდენიმე** გზა (ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე ვარიანტის გამოყენება):

1) არსებითად უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკა იმის მიხედვით, თუ რამდენად აცდენილია რეალობა გაუსის ნორმალური განაწილებიდან;
2) უნდა შეიცვალოს (გაიზარდოს/შემცირდეს) ლიტერატურის რაოდენობა ან/და თვისებრივად განალხდეს;
3) უნდა შეიცვალოს სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა, რაც, გულისხმობს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შემცირებასაც.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების ბოლო 3 სასწავლო წლის (გარდა 2021 წლის შემოდგომის სემესტრისა) აკადემიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ **100-ზე მეტ სასწავლო კურსში** მხოლოდ „A” (ფრიადი) შეფასება აქვს **40%-ზე მეტ სტუდენტს.** აღნიშნული **4-ჯერ აღემატება** გაუსის ნორმალურ განაწილებას.

ამდენად რეკომენდირებულია:

- 2022 წლის გაზაფხულის სემესტრში, გაკონტროლდეს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასება, იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც მოცემულ სიაში მოხვდნენ;
- კონკრეტულმა ლექტორებმა, კონკრეტულ სასწავლო კურსებში შეცვალონ შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და რუბრიკები ისე, რომ სტუდენტების შეფასებები კერძოდ, ფრიადი (“A”) და ძალიან კარგი (“B), არ აღემატებოდეს 40%. ამდენად, შეფასება მიახლოებული იყოს გაუსის ნორმალურ განაწილებასთან.
- იმ შემთხვევაში თუ არ ხერხდება ლიტერატურის/სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების ცვლილება, შემცირდეს ცალკეული სასწავლო კურსების შემთხვევაში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა, რაც, გამოიწვევს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათების შემცირებას.